

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება: საგნის თეორიული საფუძვლები I (ფიზიკური გეოგრაფია)

სასწავლო კურსის კოდი:

ლექტორები: იზა ჭინჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 899239353, e-mail : iza709@mail.ru
კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის ორშაბათი, 10 საათიდან 13 საათამდე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა

ვლადიმერ გორგიშელი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 898950732.

კრედიტების რაოდენობა (ECTS): 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 80სთ.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო კურსი, გათვალისწინებულია პედაგოგიური ფაკულტეტის **“სწავლების მეთოდის”** სპეციალობის სტუდენტთათვის მაგისტრატურაში I სემესტრში.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს სამყაროს აგებულების და შემადგენლობის, დედამიწის აღნაგობის, ფორმისა და მოძრაობის შესახებ; ასევე, კონტინენტების და ოკეანეების გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, სასარგებლო წიაღისეული, ჰავა, შიგა წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო; საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო წიაღისეული; ტერიტორია და ბუნება შორეულ და ახლო გეოლოგიურ წარსულში.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: არა აქვს

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	ალიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში იცის დედამიწაზე არსებული კონტინენტები და ოკეანეები იცის საკუთარი ქვეყნის რელიეფი და ბუნებრივი პირობები	ფლობს სათანადო ცოდნას სამყაროს აგებულების და შემადგენლობის, დედამიწის აღნაგობის, ფორმისა და მოძრაობის, დედამიწის ზედაპირის არაერთგვაროვნების შესახებ შეუძლია კონტინენტების და ოკეანეების გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა, ფიზიკური დახასიათება, ზოგადი კანონზომიერებების გამოვლენა,
-----------------------	---	---

		<p>განსაზღვრა მსოფლიო ოკეანის გავლენისა ჰავასა და სხვა გეოგრაფიულ ფაქტორებზე</p> <p>დეტალურად ეცოდინება საკუთარი ქვეყნის ადგილ-მდებარეობა, საზღვრები, ქვეყნის მრავალფეროვანი და რთული ბუნებრივი პირობები. შეეძლება აღქმა ბუნებაში მიმდინარე პროცესების და გაცნობიერებული ექნებათ ამ პროცესების მიმდინარეობის თავისებურება გლობალურ დონეზე</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეეძლება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	<p>შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა, სწორად გამოყენება გეოგრაფიული ტერმინოლოგიის, მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობა.</p> <p>შეუძლია მსჯელობა სივრცით კონტექსტში</p>
დასკვნის უნარი	შეეძლება დაკვირვებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა	შეეძლება ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, განზოგადება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა

სასწავლო კურსის შინაარსი:

I კვირა. თემა 1. სამყარო და მზის სისტემა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)

სამყაროს აგებულება. გალაქტიკები და მეგაგალაქტიკები. მზის სისტემა, მისი წარმოშობა. მზის აგებულება. საპლანეტათაშორისი სივრცე. დედამიწის ფორმა და ზომები. დედამიწის სითბო და მაგნიტური ველი. დედამიწის მოძრაობა ორბიტაზე და ღერძის გარშემო, მისი შედეგები. დედამიწის ასაკი.

ლიტ: [1] – გვ. 11-36; 75-105, [2] – გვ. 12-35

II კვირა. თემა 2. დედამიწის შინაგანი აგებულება, გეოგრაფიული გარსის ერთიანობა და მთლიანობა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)

დედამიწის შინაგანი აგებულების ძირითადი ნიშნები. დედამიწის ქერქის ტიპები. დედამიწის ევოლუციის ძირითადი ეტაპები. ქანის შეფარდებითი ასაკის განსაზღვრა. ქანის აბსოლუტური ასაკი. გეოგრაფიული გარსის სისტემური ასპექტები. განვითარებისა და ერთიანობა-მთლიანობის კანონები. ერთიანობა-მთლიანობის კანონის მნიშვნელობა.

ლიტ: [1] – გვ. 106-127; 263-276, [3] – გვ. 62-90

III კვირა. თემა 3. ნივთიერებისა და ენერგიის მიმოქცევები, რიტმული მოვლენები (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)

მიმოქცევების ზოგადი ნიშნები. ატმოსფერული წრებრუნვები. წყლის წრებრუნვები. ოკეანური წრებრუნვები. ოკეანე-ატმოსფერო-ხმელეთი სისტემის წრებრუნვები. ბიოლოგიური და ბიოგეოქიმიური წრებრუნვები. ენერგიის წრებრუნვები. მიმოქცევების საფუძვლები და

შედეგები. იძულებითი რყევები. შიდასაუკუნეობრივი და ზესაუკუნეობრივი რიტმები. გეოლოგიური ციკლები. გეომორფოლოგიური ციკლები.. გეოგრაფიული პროგნოზირება. გეოგრაფიული გარსის თვითრეგულირება. რიტმულობის კანონი. ლიტ: [1] გვ. 277-326; [3] – გვ. 114-117.

IV კვირა. თემა 4. ზონალურობა და აზონალურობა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ზონალურობის გამოვლინების სფეროები. სითბოს, სონოტივის და ბარიული ველის ზონალურობა. ჰიდროლოგიური პროცესების, ნიადაგწარმოშობის, რელიეფის, ცოცხალი ორგანიზმების ზონალურობა. ზონალურობის პერიოდული კანონი. ბუნებრივი სარტყლები და ზონები. აზონალური მოვლენები. სიმაღლებრივი სარტყლურობა. ზონალურობა-აზონალურობის ერთიანობა. გეოგრაფიული გარსის ასიმეტრიულობა. ლიტ: [1] – გვ. 327-354; [3] – გვ. 118-122

V კვირა. თემა 5. გეოგრაფიული გარსის განვითარება, გლობალური გეოგრაფიული პროცესები და მათი მართვა (ლექცია 1სთ. პრაქტ. 2სთ.)
დედამიწის წარმოშობა. გეოსფეროების წარმოშობა. გეოგრაფიული გარსის წარმოშობა და განვითარება. ადამიანის წარმოშობა. გეოგრაფიული გარსის სტრუქტურის ევოლუცია. გეოგრაფიული გარემო. გეოგრაფიული გარსის ანთროპოგენური ცვლილებები. გარემოს მონიტორინგი. ბუნებრივი რესურსები. ბუნებათსარგებლობა. გეოგრაფიული გარსი – თვითორგანიზებადი სისტემა. ბუნებრივი ნაკადების მართვა. გლობალური ბუნებრივი პროცესები. ლიტ: [1] – გვ. 385-440.

VI კვირა. თემა 6. აფრიკის, ავსტრალიის, ანტარქტიდის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [6] გვ.3-61) (ლიტ: [8] გვ.3-61) (ლიტ: [9] გვ.3-39)

VII კვირა. თემა 7. ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [7] გვ.4-109) (ლიტ: [10] გვ. 2-8)

VIII კვირა. თემა 8. ევროპის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [4] გვ.5-45)

IX კვირა. თემა 9. აზიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [5] გვ.3-85)

X კვირა. თემა 10. წყნარი ოკეანე. ატლანტიის ოკეანე. ინდოეთის ოკეანე. ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე. სამხრეთის ოკეანე. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [11] გვ. 2-25)

XI კვირა. თემა 11. საქართველოს მდებარეობა და საზღვრები, საქართველო მსოფლიოს ფონზე საქართველოს გეოგრაფიული კოორდინატები, საზღვრები, გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა.

საქართველოს საერთაშორისო სტატუსი, სახელმწიფო მმართველობის ფორმა, ტერიტორიული მოწყობის ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობები. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [12] გვ.3-13) (ლიტ: [14] გვ.13-14)

XII კვირა. თემა 12. საქართველოს ბუნებრივი პირობები: გეოლოგიური აგებულება, რელიეფი (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
საქართველოს გეოლოგიური განვითარების ისტორია, ტერიტორიის ფორმირება პალეოგენში, ნეოგენსა და ანთროპოგენში. პლეისტოცენი და ჰოლოცენი. საქართველოს გეოლოგიური აგებულება.
რელიეფი, მისი სიმაღლებრივი ზონები და ოროგრაფიული ერთეულები.
(ლიტ: [12] გვ.37-54) (ლიტ: [13] გვ. 12-48) (ლიტ: [14] გვ.15-21, 38-68)

XIII კვირა. თემა 13. კლიმატი, შიგა წყლები, შავი ზღვა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები. მზის რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, ქარი. შიგა წყლების ზოგადი დახასიათება, მდინარეები, ტბები, ჭაობები, წყალსაცავები, სარწყავი სისტემები, მყინვარები. შავი ზღვა.
(ლიტ: [12] გვ.55-83) (ლიტ: [13] გვ. 48-77) (ლიტ: [14] გვ. 91-136)

XIV კვირა. თემა 14. ნიადაგები, მცენარეული საფარი (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ზოგადი დახასიათება, ნიადაგების ტიპები: ჭაობის, სუბტროპიკული ეწერი, წითელმიწა, ყვითელმიწა ნიადაგები, ალუვიური, შავმიწა, რუხი-ყავისფერი, რუხი, დამლაშებული, ყავისფერი, ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული, მთა-მდელოს ნიადაგები. მცენარეულობის რელიქტური და ენდემური სახეობები, ინტროდუცირებული სახეობები, მცენარეული საფარის ტიპები წარმოშობის მიხედვით: კოლხეთის ტიპის ტყე და ხმელთაშუაზღვიურ-თურღალური ტიპი. ტყე, საქართველოს ბარის ტყე, ბუჩქნარი მცენარეულობა, ბალახოვანი მცენარეულობა. სტეპის, მდელოს, ჭაობის მცენარეები. საქართველოს მეორეული მცენარეული საფარი.
(ლიტ: [12] გვ.84-98) (ლიტ: [13] გვ. 77-99) (ლიტ: [14] გვ.137-160)

XV კვირა. თემა 15. საქართველოს ცხოველთა სამყარო, საქართველოს ბიომრავალფეროვნება, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავისებურებები, გარემოს დაცვა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ენდემური და რელიქტური სახეობები. ფაუნის ვერტიკალური ზონალობა: მაღალი მთის სუბალპური და ალპური ზონა, მთის ტყის ზონა, საქართველოს ბარი. მესხეთ-ჯავახეთის ზეგანი. მცენარეთა და ცხოველთა სისტემატიკის ძირითადი ერთეულების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე. ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავისებურებები, გარემოს დაცვა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები
(ლიტ: [12] გვ.99-105) (ლიტ: [13] გვ. 99-105) (ლიტ: [14] გვ.161-185)

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, სემინარები, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები (2) და პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: (იხ. <http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848>)

შეფასების 100% გადანაწილება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის:

2 წერიტი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

4 ჯგუფში მუშაობა – 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში ჯგუფში მუშაობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია – 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერიტი სახით. G გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

ძირითადი ლიტერატურა:

თესაუ ბიბლიოთეკა

1. ალფენიძე, მ., ელიზბარაშვილი, ე., ხარაძე, კ., (2003), ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა

2. ელიზბარაშვილი, ე., ჭავჭავაძე, ზ., (1992), ზოგადი დედამიწისმცოდნეობა, ნაწ.1, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა

3. ელიზბარაშვილი, ე., ჭავჭავაძე, ზ., (1992), ზოგადი დედამიწისმცოდნეობა, ნაწ.2, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა

4. მარგველანი, გ., (2001), ევროპის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

5. მარგველანი, გ., (2000), აზიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

6. მარგველანი, გ., (1999), აფრიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

7. მარგველანი, გ., (1990), ჩრ. ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

8. მარგველანი, გ., (1995), ავსტრალიის და ოკეანეთის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

9. მარგველანი, გ., (1997), ანტარქტიდის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა

10. სამხრეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია (ელექტრონული ვერსია), ი. ჭინჭარაშვილი, 2010.

11. ოკეანეების გეოგრაფია (ელექტრონული ვერსია), ი. ჭინჭარაშვილი, 2010.

12. საქართველოს გეოგრაფია, (2000), თბ., ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ. გეოგრაფიის კათედრა

13. მარუაშვილი, ლ., (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ. "ცოდნა".

დამხმარე ლიტერატურა:

14. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, (2000), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., "მეცნიერება"